საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01\45

ქ. ბათუმი **22 ნოემბერი, 2019წ.**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N03 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 ოქტომბრის №06-01/111 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები „ბსუ–ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N03 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, დანართის:

ა) მე-16 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-16[1] პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„16[1]. ამ წესის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (მათ შორის საგამონაკლისო) აკადემიური თანამდებობის პირის აკადემიური დატვირთვის კატეგორიის შეცვლის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების შედეგად ამ პირის შესაბამისი სასწავლო წლის სავალდებულო აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა განისაზღვროს აღნიშნული ბრძანების გამოცემის შემდეგი პერიოდის სასწავლო კვირებზე პროპორციულად გადანაწილებული სამუშაო საათების მიხედვით“.

ბ) მე-19 პუნქტი ამოღებული იქნეს;

გ) 26-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს 26[1]-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**26[1]**. წინამდებარე წესის 26-ე პუნქტით სტუდენტთა ჯგუფებში განსაზღვრული რაოდენობის გაზრდა ან/და შემცირება შესაძლებელია ერთჯერადად (შესაბამის სემესტრში ან სასწავლო წელს), კონკრეტული სასწავლო კურსის/პროგრამის საჭიროების გამო გამონაკლისის დაშვების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის <u>დასაბუთებული</u> სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მიღებული აკადემიური საბჭოს დადგენილებით.“

2. გადაწყვეტილება დაეგზავნოს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, შიდა აუდიტის სამსახურს.
3. გადაწყვეტილება და კონსოლიდირებული ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N03 გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება გავრცელდეს 2019-2020 სასწავლო წლიდან (2019 წლის 16 სექტემბერი) წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**